



№ 35—1916 ფ ა ს ი
 კვირა, 28 მაისი. 12 კაპ.

ჟურნალი „თეატრი და სპექტაკლი“
 წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: **თიფლისი, რედ. „თეატრი და სპექტაკლი“**
ოს. იმედაშვილი. პირისპირ: „სორაპნი“-ს სტამბაში.

წამ. მიქოტაძე
გამოცემისა



მომღერალი ვანო სარაჯიშვილი
 მისი ბენეფისის გამო მარიამობისთვის 30
 „ხარდუხის კლუბში“ 31 „ახალ კლუბში“

მარიამობისთვის 28

სეზონის მოლოდინში. სანამდის ქვა მოჯღებოა—ჩემი ფეტვიც მორჩებაო,—უთხრა ზოსიმე ვეფხვი გლეხმა მწიქსველეს, როდესაც ამ უკანასკნელმა მისი ერთი ლიტრა ფეტვი დააყარა ახლად მოკოდელ ქვას და ქვის აწვევ-დაწვევაში ნათქვამი გააუბარაქოვა.

გლეხმა დროით მოიფხანა კისერი, მაგრამ ჩვენი დრამატული ხელოვნების უსტუბუნო თვისზე მინდობილ საქმეს ისე სუბუქად უყურებენ, რომ ლამის არის საკუთარი თეატრის აშენებისა და უკეთეს პირობათა მოლოდინში ხელოვნება იგი არა თუ აღორძინდეს, განვითარდეს, გაძლიერდეს, არამედ—გაცამტვერდეს...

უცხო ერთა დასნი ქართულ თეატრის მაყურებელს ელვის სისწრაფით იტაცებენ,—ჩვენი დრამატულ საქმის მესვეურნი—კი გულს იმით იმშვიდებენ, რომ... აქა-იქ კლუბში წარმოდგენები იმართება და საზამთროდ ამხანაგობავე იკისრებს სეზონის წარმოებას,—ასე იქნება ვიდრე საკუთარ თეატრს ავიშენებდეთო...

—აცა, ნუ მოკვდები, მალე გაზაფხული მოვაო,—სწორედ ამას მთავაზრებენ ეს ბატონები და თითქმის არც კი ფიქრობენ, რომ ვიდრე ჩვენი სათეატრო დარბაზი აშენდებოდეს, ვინ იცის რავედნი კოკა წყალი ჩაივლის და ჩვენი სასცენო ხელოვნებაც გადაგვარდება...

მსახიობთ მივანდოთ ამხანაგობის შედეგანო!—რა თქმა უნდა, როდესაც საქმეს მზიუნველი არ უჩანს, მაშინ თვით მსახიობნი ითავებენ საქმეს—და უმეტესად სათავისო დასს შეადგენენ, ისეთ დასს, რომელშიაც ერთს ან ორს მეთაურს ექნება უპირატესობა და, შესაძლებელია პევირის სარგებლო ძალა დასის გარედაც დაჩვენებას, მაგრამ როდესაც დრამატულ საზის გამგეობა მაინც თვის ხელაწვევის ამხანაგობას და თვის „იაოლიკს“ აკრავს, მაშინ ისეთი დასი უნდა შესდგეს, რომ უცხო დასებს თუ არ გაუხსრავებს, არ ჩამოუვარდეს მაინც...

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი სათეატრო ხელოვნება ძალზე ჩამოქვეითდა, ჩამოქვეითდა მაშინ, როდესაც ღირსე-

ული და ნიჭიერი ძალნი მოგვეპოვებიან,—ოღონდ დაქს-ქსულან,—და მთელი ჩვენი ღრამატული ხელოვნება ორიოდვე კაცის სინაბარა ორიოდვე გადაღებილი ვოდველის საშუალებით მილოდავს...

ნუ თუ კიდევ იმის მტკიცებაა საჭირო, რაც ყოველმა შეგნეულმა ქართველმა იცის, რომ ქართული თეატრი უდიდესი და უპირველესი იარაღია ჩვენი გათვითცნობიერებისა?

მაშ ასე შეცამეტე გოქივით აბუჩად რა ვაკურობით?

ამას წინაღ კომისიას მაინდეს საქმის მოგვარება. რა ისაქმა კომისიამ, რას ფიქრობს გამგეობა, დასი შესდგა თუ არა?

ღროკი მიჰქრის და სხვები რო სეზონს გააჩადებენ, მაყურებელს საზოგადოებას მიიზირებენ, მაშინ თუ გვღირსება თვალის მოსაჩვენებლად გადაღებილ პიესების „წარმოდგენა“, ისიც მოუშადადებლივ, ნაჩქარევად... როდემდის, როდემდის ასე?

ნუ თუ ერთხელაც არის ჩვენს თეატრს ნამდვილი გულშემატკივარი, შემომქმედი მოსაქმე, საკუთრივ ამ საქმეზე თავდადებული გმირი არ გამოუჩნდება?!

საჭიროა გაბედული ნაბიჯის გადადგმა, საქმის დროით პატრონობა, თორემ სანამდისინ ქვა მოჯღებოა—ჩვენი ფეტვიც გათავდება...

სასცენო სტუდია. რუსებმა რომ სახელმწიფოს დაფუძნებულნი მონიჭადინეს, ვარაიანებს შეუთვალეს: ჩვენი ქვეყანა მდიდარია, მაგრამ უწყესა, პოლით და ჩვენ შორის წესრიგი შემოიღეთო.

სწორედ ასევე გვემართება ჩვენიც: მაშინ, როდესაც ჩვენი ნიჭიერი შვილი უცხოთა სცენას ამშვენებენ და ხელმძღვანელობენ, თვითონ ჩვენ უცხოთა სახელმძღვანელოდ ვხდებით...

და გაუმარჯოს ასენს უცხოთ, რომელიც ჩვენს სასიკეთოდ ხელს გასძრავს წმინდის გულით.

ერთი ასეთი უცხოთაგანია მოსკოვის სახელოვანი თეატრის ცნობილი მსახიობი ს. ნ. ვორონოვი, ჩვენებური სიძე (ვანო როსტომაშვილის ასულის ბაბოს მეუღლე), რომელსაც განუზრახავს ჩვენში სასცენო სტუდია

დაფუძნოს საკუთარი ხელმძღვანელობითა და ცნობილ პირთა დახმარებით, ბ-ნი ვორონოვი კვიანი და ნიკიერი მსახიობია, მოსკოვის სამხატვრო თეატრის სკოლის მიმდევარი, რომელმაც გასულ წელს სახალხო სახლში სარეჟისორი მუშაობით თავი ისახელა...

ასეთი სკოლა—სასცენო ხელოვნების სასწავლებელი—დიდაც საჭიროა, თუ ის სასურველ ნიადაგზე იქმნა დამყარებული. სახელი ვორონოვისა იმის თავდებია, რომ ხსენებული სტუდია სათანადო დონეზე იქმნება დამდგარი. ამიტომ სასურველია ჩვენმა ახალგაზრდობამ, ქალებმა და ვაჟებმა, რომელთაც ს მოზობლო სცენაზე სამსახური ჰსურთ აქ მიიღონ პირველდაწყებითი სასცენო მომზადება.

ვუსურვებთ ბ-ნს ვორონოვს თავისი კეთილი განზრახვა სასახელოდ დაგვირგვინებინოს.



მწერალი დავ. ნახუცრიშვილი

მისი ავადმყოფობის გამო.

* *

აივსო თასი მოთმინებისა,
მარად ვაებამ დადარა გული,
გარდვიც ძალად გმობის, წყევლისა
და ბრძოლად მიწვევს ამაყი სული...

დაე, აღინთე გარდაქმნის ცეცხლო,
დასწვი, დასდავე ქვეყანა ძველი,
ფერფლად აქციე ბნელეთის კოშკი,
გააბამტყერე ძალა მტანჯველი...

დაე, დავიწა მეც შენს კოცონში,
აჰა, იმსხვერპლე სიცოცხლე ჩემი,
ოლონდ აღსრულდეს ჩემი ოცნება —
ოლონდ შთაინთქეს ბნელეთის გემი!...

ბ ვარდოშვილი.

სულის ლეგენდები

სამარადისო ძიება.

1

ეს იყო მაშინ, როც უსხეულო სული მიიკაბ დონიდან კაბადონამდე ლაღდა ქქროდა... უსახლერო იყო გზა მისი და სიარული უმაღესი მზისა სხივისა...

მან არ იცოდა არც დაღლილობა არც მქმუნვარება...

უკვდავ სიცილში ყველას ფარავდა... მის უსახო სხეს ემონებოდა სიმრგვლე ცისა.

მქმუნვარებით დალოილ დაქანცულის მიწას შეშურდა მის უსახურის ლალი სიცილი... დაჭრია გესლმა.. ველარ გაუძლო გულს მოწოლილს შავს სევდავარამსა..

შურის თვალებით იწყო მუდმივი კბილის ღრქიალი...

ბნელის მარჯვენით მოჭვიდა შეილდი და თეთრი სულის თეთრი გული ბნელეთის ისრით შავად დაჭკოდა... და სისხლი ისრით ჩაშომდინარი მიწამ დაღოა... და გაიგრილა მხურვალე გული,—ლალი სიცილი უკვდავი სულის ჰაერს შეჭრია...

და გაჩნდა სახე უსახურისგან..

სახელი მისი, ქვეყნად, კაცია.

ნიშნად ზეციურ უკვდავებშია კაცს დარჩენია ტლანქი ოცნება აჩრდილი მშობელ უშობ სულისა...

2

... და დაიბადი ადამიანი აწ შემაერთი ცის და მიწისა. მას არა ხიბლავს არც მზის სიცილი, არც მთვარეს შუქი უქრობს მას ნაღველს...

მის თანამგზავრი მქმუნვარება ტირილია. მისი სიცილი ღრუბლიან დილის ღამის მსგავსია..

უნოსვა ჰაერას უსხეულო მოკასკასე სულით ნარვეს,—აგონებს წარსულს, სიზმარით სადღა; ზეცაში მარად მღერაში და სიამეში წუთიერ განვლილს. მისი ოცნება მუდამ მფრენია...

მაღლა მფრინავი—მზე ნათელია.. სხეული მისი ტანჯვად ნაქცევი—მიწის რკალია.

ოჰ! საბრალოა ადამიანი: მუდამ ამ ტანჯვის მეოპარია და გამქრალი სულის მამებარი..

ბ. გორდენიანი

„გიღალბტე.. შაპატე“!

ის იყო მეტად მშვიდი, მორცხვი, სათნო, პატიოსანი. იყო ღამაზი, კარგი, ტანდი... მთელ მეზობლობას მოსწონდა, უყვარდა... იმაზედ არაფერს ცუდს, უკადრის არას იტყოდა... ისიც ყველასათვის კეთილი და პატივცემული იყო.

ყველა ამ ღირსებ-სათვის მოიწონა ის ერთმა პატიოსანობით ქებულმა ვაჟმა, შვიცვარა და ჯვარიც დაიწერა.

ის ერთის წლის შერთული ჰყავდა ქმარს.

... და მას ერთი მეზობლის ქაბუკი გაუარცდა... ქაბუკი ხშირად, სულ ხშირად მიდიოდა ქალისას, როცა ქმარი შინ არ გვულეზბოდა... და ეარშიცებოდა... ეარშიცებოდა...

ის არშიცობას გამოსთქვამდა უმეტესად უხმოდ, უსიტყვოდ. სხეულის ყოველგვარის მოძრაობით გამოსთქვამდა ის არშიცობას. ყოველგვარ მიხვრა-მოხვრაში ის არშიცობას ჰგულისხმობდა...

და ქალსაც არ გამოეპარებოდა, კარგად ესმოდა იმისი ღელვითი სულის სწრაფვა... ცეცხლთა დება...

ქალს იგი მოსწონდა მხოლოდ გარეგნობით. მაგრამ ყოველთვის კი თავს იკერდა და ვაჟის უსიტყვო თხოვნას უსიტყვოდვე უპასუხებდა,—ისე, როგორც შე ჰფერის პატიოსანობისა და ქმარს ერთგულების დამცველ ქალს.

... და ერთ ღამეს, ქმარი რო შინ არ ჰყავდა, მისს საწოლთან, კედელს გარედან მთელი ღამის განმავლობაში მოეძმოდა კაკუნის, კაკუნის თავხედი მოარშიცესი... მაგრამ არა!.. ნამდვილად კი არა... ეს იყო ხლოდ ღელვითი სულის აუსრულებელი ნდობა...

და ეს მეორე ღამესაც განვიწიდა... ჩნეტავი მართლაც!.. გაიფიქრა მან და გაჰყვა ფიქრებს... მტანჯავ ფიქრებს...

და მესამე ღამესაც მოესმა ქალს კაკუნის... ჩნეტავი მართლაც!.. და კარი მოწეულ იქმნა... და შიგ შემოვიდა სხვაგნით დაბრუნებული ქმარი.

აკანკალებული, სირცხვილისაგან გაბრუნებული ქალი დაეცა მუხლებზე ქმრის წინაშე და თრთოლოვით წარმოთქვა:

-- გი...ლა...ლა...ტე...მა...პა...ტი...ე! .

გიორგი ლომთათიძე

სახალსო მუშაკნი



მიმდინარე წლის მარამობისთვის 26 შესრულდა ერთი წელიწადი, რაც გარდაცვალებულ სიმონ ამბაკოსძეს ზაქარეიშვილი. განსვენებული ერთი იმ პირთაგანია იყო, რომელთაც სპირიტუალური ჩაუყვარეს ხეყნში განმათვისი უფლებები.

სიმონ ამბაკოსძე ზაქარეიშვილი.

მონაწილეობას იღებდა მუშათა პროფესიონალურ კავშირების დაარსებაში; მან მიაწოთ, სხვათა შორის, თბილისის მეკრფაღათა პროფესიონალური კავშირი და ხშირად წერილებსაც ათავსებდა უოველ კვირეულ ჟურნალ „სახალ ქვეყნისაში“, მუშა—სიღიას ფსევდონიმით. თავისი ცნობებების უკანასკნელს დროს სხვა და სხვა პირთაგანს იძულებული გასადგეს, გადასახლებულიყო სადგურ ბაღაჟანში, სადაც ითვლებოდა ბაქოს ქართულ სამხატვრო სალიტერატურო წრის ბაღაჟანის განყოფილების მუდმივ თავმჯდომარედ. სიმონ ზაქარეიშვილი თავგამოდებით ემსახურებოდა ბაღაჟანის ქართულ წარმოდგენების სექციას და დიდი ხალისით ასრულებდა მოკანახის მოვალეობას. ერთ დროს სიმონმა შეადგინა სტენის მოყვარეთა ჯგუფი, რომლის მიზანი იყო სოფლად წარმოდგენების გამართვა, მაგრამ უღმობედა სიკვდილმა აღარ დაატყდა სიმონს დაემთავრებია თავისი დაწეული საქმე და ჯერ კიდევ სრულიად სასადაცარდას, 32 წლის ჰაბუკს, სამუდამოთ დაუხუჭა თვალები.

სამუდამოდ იყო სსენება შენი ძვირფასო სიმონი შენი სახელი წაუშლელი დარჩება მათ გულში, ვინც შენ გინობდა და ვის დასაწინაურებლადან გულწრფელად იღვწოდი. ნარი

პაუა-ფეაველა სიყვანისღმერთი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 31)

მოკრე დილით ხას ტოტებითა, ბანითა და ნინებოთ გაუდექით გზას. ჩვენთან ერთად თითქმის ყველა მასწავლებელი იყო. დიდი სანახაობა იყო. კახარმებს რომ აუარეთ, ჟარის უფროსმა დაგვიანას გამოგვეხმურა და სადღათები გამოგვაყოლა საშუალო. მოვედენით მანდგრებს, ჩვენი წივიდ-კივილი ზეცას სწვდებოდა. ვაჟ გვიუვიროდა ხან გვამხსენებდა დაიწვეთ ორმოების თხრა... ბეგრი ორმოები მოვამზადეთ, შორიდგან მოუარეთ კაღის; მივერეკებოდათ ორმოებისკენ და ვამსებდით ავითა და შერე მიწას ვაყრიდით, რომ იგინი ვეღარ ამოსულიყვნენ. გუტი-კალია იყო და სად წაუვიდოდნენ იგინი ჩვენს სახატვად სელებს! სიღამოდის ვიმუშავეთ და წორეთ უნდა თქვას კანმა, მარჯვთად ვიმუშავეთ: ბეგრი ორმო ავაყვით და გზად კი შეუკარით — სხვა ენებში არ შესულიყვნენ. ოთხი საათი იქნებოდა, სემიონოვმა გვიბრძანა სახლში წასვლა და საღამოზე ისევ გაგრძელება მუშაობისა. სიღისისკან და მუშაობით დადლიდ შეწუხებულნი დაბრუნდით შინ. ვაჟა-ფეაველა და რამდენიმე მოწაფე არ წამოვიდნენ ჩვენთან ერთათ. ესენი სოფლებებში ჩაერთვნენ და მუშაობას გაგრძელებს

ასე ვოველ დღე, სამი დღის განმავლობაში ვიბრძოდით ამ მოკლოდნელ მტერთან. მუთხე დღეს მტრის შემოსევისა ცხინდა სიღისისკან აუარებელი ფრინველი: ტარბი, ჭილ ყვავი შოშია და სხვები, მტრადრე ტარბი და ჭკუფებით ეტეოდნენ კაღის და სულ მურსს ადგინდნენ, არ ვიცი ეს იყო მიზეზი, თუ სხვა მიზეზი რაზე იყო, მტერი დაიძრა ისევ უკან, იმავე გზით: ზოგი მტკვარს გაჭეფა და ზოგი რკინის გზის ღიანდაგს მიჭეფა და დაეშო ძირს ახლა კი ძლივ თავისუფლად ამოვისუნთქეთ. გარში მარკალისიცი კი გადავიხადეთ ნიშნათ მტრის შემოსევისკან განთავისუფლებისა. სემიონოვიმაც გადახანდევინეთ მარკალისი ჩვენს სამდროს სჯულის მასწავლებელს დაზარე ტურნაშვილს ამ მარკალისის შემდეგ სემიონოვმა სიტყვა

გვითხრა, მადლობა გადაგვიხდა და ასე დაასრულა სიტყვა: „იმ დღეს ხომ თვითონ თქვენ დაინახეთ რა ამბავიც მოხდა... ხალხი აზვიროდა... დაივიწყა თავისი დღიური ჭირ-გარამი, მტრობა, ერთი-ერთმანეთს შუღლი უკუ ადო, ერთი ერთმანეთს ხელი გაუწოდა და საერთო ძალით საერთო მტერი დასძლია... ასე იცის ერთობა, საერთო ძალა... იქ სადაც ორი ხელი უძღურია, სამასი ხელი კლდეც გაანდგევს, ზღვის ტალღებს შეაჩერებს, მთას-მთას მიანდის და გაჭირებულ მდგომარეობას საკეთილდღეოდ მდგომარეობით გადააქცევს ხელმე, გაჭირება გმირებსაცა ზრდის და შეუმხნეველს შესამხნეკათ გადააქცევს. დღეს თქვენ ყველანი ხართ ძლიერს საქმეში შესამხნევი, მაგრამ გამაჭირახობითა და თავდაზნობით ყველას ღუკა რახი-კაშვილმა გაჯობათ... ამ სიტყვებზედ ყველამ ვაჟს დაუწყო ტყემა... ამასაც თითქო სიმაღლე მოემატა, მკერდი გამოებურა, გაიშალა ახალათ ამოფუჩქვინილ უღვაშზედ ხელი გადაისო და მთელი თავისი აჩსებით გმირის სურათი წარმოგვიდგინა... აქა-იქა ტაშის ტყეც მოიხმა... როცა ვგეღაფენი მიწენარდა, დრექტორმა აღსანიშნავათ ამ დიდებუდი დღისა წინადადება მოგვცა ქართულათა და რუსულათ აგვაწერა ვეღაქს ამბავი და ჩვენი ნაწერი გადაგვეცა არისტოქუთათელიძისთვის და რუსული ენის მასწავლებლის ბ-ნი ნოვოსილსკისთვის.

ამის შემდეგ ერთი კვირა გვიდა... გული საკულეში ჩადგა... ჩვენ შინაურ საქმეებს დაბრუნდით... რამდენიმე ეგზამენი კიდევ ჩავაბარეთ. ეგზამენები შედგავთიანი იყო, რადგანაც სამი დღე მოგვცდინა კაღისთან ბრძოლა... არ ვიცი რა დღე იყო: წვიმადა... შინიდან გარეთ ფეხი არ მოგვიცვლია... სიღამოდისან ჭბუმე ჭბუმათ დაგვიდით და გმეცდინებოდით. სიღამოზე კი კლასებში შევიკრიფებით და ახლა აქ დაიწვეთ მეცდინეობა. ამ საღამოს დირექტორი ჩამოვიდა ჩვენ დასათვალიერებლათ. მიგვათვალ მოგვათვალიერა, იოსუნჯა, გავიგინა, გავგაგინა, მოიგონა წარსული თავისი ცხოვრებისა, ახალგაზღობის ტუბილი დღეები; გველანა-კა ზედაგოგ უშინსიკიზედ (სიმამრი იყო სემიონოვისა), მასთან დამოკიდებულებასზედ და მერე მოგვმართა და გვითხრა: ზვის შეუძლიან ზე-

გისთვის გაკვეთილი მისცეს. სკანო გაკვეთი-
ლისა იქნება „კალია“ — მისი კარგობისა და
ტოვობისა აღწერა; დიდხანს სინამდის სუფუფდა:
ეტყობოდა ანაის უნდოდა, ეს მძიმე საქმე ეკი-
სრნა... უეცრად უანადგან ხმა მოგვესმა: „შე
ვთაბ მაც გაკვეთილის შექმნაგებას“. ეველანი
ტყურობა გადავიქცეთ და დავრწმუნდით, რომ ეს
ხმა ვაჟა-ფშაველას ხმა იყო... დირექტორმა გაი-
დიდა, ჩვენ სიცილი აგვიტედა, ან ვიცოდით
კი რაზე... ვაჟამ იწუინა ეს, გაჯავრდა და წინ
წამოგება, რომ უარი სთქვას გაკვეთილის მიტე-
მაზე, მაგრამ დირექტორის აღერისანმა და
თავაზიანმა დახანკამა ეველათერმ მთაწესრიგა
და ვაჟამ უკან აღარ წაიღო თავისი წინადადება,
თუმცა კი ქართულად რაღაც წაიბუტბუტა და
ვინადაც მუშტებით დაემუქრა. დირექტორი რომ
წაიდა, მაშინ ეველათერი გამოაშვანდა — რა-
შიად იყო საქმე: თურმე ვინადაც ვაჟასთვის
რკალიების უსტაბაში“ დაუძახნია და ესაც ამა-
ზედ განრისხებულა. ვაჟასთან დახლოებულად
ამხანაგები ჩვევრებით ამ ინდივიტში და საქ-
მე მორაგებით გავათავეთ. გახუმდა იგი, გან-
რისხების დრუბლები გადაეყურა მის მადლიან
შეპლს.

ალექ ნათაძე

(დასასრული იქნება)

მელანქოლია

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 34)

ბალი კი აქრელბულია ფერადი ტანსა-
ცმელებით — მხიარულად დასეირნობს ყველა...

აგერ ორი ჩასუქებული კაცი მოდის...
მძივით სუნთქავენ, თამბაქოს აბოლებენ და
საუბრობენ... ხანდისხან კი გადახედავენ
შორი-ახლო მიმავალ ქალს, მაგრამ აბა რას
დაუშლის ეს გადახედვა მეგობრულ ლაპარაკს...

— ჰო და ამ ზაფხულზე მე აქ წამ სვლა
ვარჩიე. შედარებით აქ უფრო მოვეწყვები —
რკინის გზა არის, ზღვა, ჰავრი — დაისვენებ
კაცი.

— რასაკვირველია, — ეუბნება მეორე —
დროს მშვენიერად გავატარებთ... და მრავალ
მნიშვნელოვან და გადასცქერის უცნობ ქალს
რომელიც ხახლა მათ გასწვრივ მიდის

— არა, ბატონო, აიღეთ ფიზიკა და
დაკვირვებით გადაიკითხეთ, თუ რა სწერია
შიგ. არ იცი მეთქი, რომ გეუბნები ის არის.
მე თუმცა დიდი ხანია გიმნაზია გავათავე,
მაგრამ არქიმედის კანონი მაინც მახსოვს —
ეუბნება ახალგაზდა ქალი გვერდით მიმავალ
გიმნაზიელს.

— აბა სხვა მეთხეთ, თუ არ ვიცი... ეს
მგონი ჩვენს წიგნში არ სწერია, როგორც
მახსოვს.

— ნიუტონის კანონი? და ქალი თვა-
ლებში აცქერდება ყმაწვილს, რომელიც თავს
დაბლა ხრის და ნელნელა მიყვება ფიზიკ-
ს მტოდნე ცირას...

— რა მშვენიერებაა... ეუბნება ახალ-
გაზდა ქალი ვიღაც სტუდენტს...

მშვენიერებაა, მაშ, მშვენიერებაა, ოც-
ნებაა აქ ყველაფერი და შენ კი დაჯექი ამ
ბნელ კუთხეში და იფიქრე რაღაც ცხოვ-
რების შინაარსზე და ამ გვარ სისულელეზე, —
გულმოსულათ ჩამძახის ვიღაცა.

— დიხ, დიხ, უნდა იფიქრო მაშ... უნდა
დააკვირდე ამ ხალხს, თუ რაათი ცხოვრობის?
რა აინტერესებს, უნდა გაიგო მაღლიდან...
უნდა ამოღოდე ცხოვრებაზე და ობიექტიუ-
რათ შეხედო ყველაფერს... აბა! — ამბობს
მეორე ხმა

მელანქოლია... მელანქოლია...

ოხო, ამ ორ ჩასუქებულ კაცს აკი გაუ-
ცვნიათ ის ქალი მთ წინ რომ მიდიოდა.
ორივეს კმაყოფილება ეტყობა სახეზე, ცო-
ცხლათ ლაპარაკობენ...

— როგორ გეკადრებათ? — ამბობს ერ. ი —
ლამის ათ საათზე ცურაობას რა სჯობია, ჩვენ
ყოველთვის ათზე ან ცხრა საათზე ვცურაო-
ბდით ხოლმე... შარშან აქ ჯახობა მყვდა —
ათ საათზე ვცურაობდით ყოველ დღე... მშვე-
ნიერი წყალია...

— საინტერესოა — დიმილით უპასუხებს
ქალი — მე კი არ მეგონა, თუ აქ ლამის ათ
საათზე შეიძლება ცურაობა...

— სად შეიძლება იცურაოს კაცმა? — გა-
ნაგრობს ის ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ —
მეც ვიცურაობდი, თუმცა ძალიან მეშინია...

— რას ბრძანებთ? ერთ ხმად იკვირვებენ

კაცები:—ჩვენ იქ არ ვიქნებით. . . ესე რგი ჩვენ იქვე ხლო ვცურაობთ გადახურულში...

— ხა, ხა, ხა. ხა! ღამის ათ საათზე... მაშ ასე და ასე ამ საღამოს ათ საათზე იცურავებთ არა?... ჰო, კაი საცურაოა ათ საათზე, რა უკირს... არც სიცხე დასწვავს თქვენს ნაზ კანს!.. ნეტა რას ფიქრობს ზღვა ათ საათზე ცურაობის შესახებ... ჯერ ძალიან წყნარად არის: ალბად მიეჩვია ათ საათზე მოცურავე ხალხს... ხა. ხა. ხა!..

აი, აგერ სტუდენტი და ახალგაზდა ქალი.

— მართალი უნდა ვსთქვა მე ბუნება არ მიყვარს,—ამბობს სტუდენტი.

— როგორ?! განცვიფრებით ეკითხება ქალი.

— ბუნება ჩვენ პირველყოფილ მდგომარეობას გვიახლოვებს და...

— Что вы говорите, Яша,—это дико. ბუნება სიციცხლეა ჩვენი, სიღამაზე, მშვენიერება... ეს დაფარული აზრია ჩვენი ცხოვრების,— აღელვებით ეკამათება იაშას ქალი...

— ფილოსოფიური მსჯელობაა... „დ ფარული აზრი“... დიახ, ყმაწვილო ბევრს რასმეს ნიშნავს „დაფარული აზრი“ აი თქვენი ჩაკიდებული ხელები ეხლა დაფარული აზრით ლაპარაკობენ, თუმცა თქვენი ენა სულ შორს არის ამ „დაფარული აზრისაგან“. . . ხე, ხე, ხე.

— და განა ამ ხალხში ყველა დაფარული აზრით არ ლაპარაკობს... არც ერთი იმას არ ამბობს, რაც გულში აქვს. ბევრ კარგ და ლამაზ სიტყვას ამბობს აქ ენა, მაგრამ გული სულ სხვას გაიძახის; აქ ყველა ატყუებს ერთი მეორეს, რადგან აქ გამოფენაა და საქონლის გარეგნობას ხომ მეტი ფასი აქვს..

— ქალბატონო, ცხვირსახოცი დაგეკარგათ,—ეძახის ქალს მოხუცი მეზღვე, რომელიც თავის დაკოჭრებული თითებით ისე აშორებს ბალახს ნაზ ყვავილებს, რომ თითქმის სრულიათ არ ანძრევს მათ.

— გმადლობთ, ბაბუა,—ეძახის ქალი და ისევ მიყვება ახალგაზდა სტუდენტს, რომელიც განაგრძობს მტიკცებას ბუნების ცუდ გავლენაზე.

აგერ მუშები ჩამოჯდნენ.. როგორი თვისებით უყურებენ მათ... რათ არ წავლენ ნე-

ტავი ამ ბალიდან, როგორი დისონანსი შემოაქვთ მათ აქ... ჭრელ სპარსულ ხალიჩას რომ უფერული ტალახის ღაქა დააცხო, ისე არიან ამ ბაღში... აბა კითხეთ ამ ხანში შესულ ქალს, რომელიც მხოლოდ რალაც ჯობზე წამოცმულ სათვალეებით იხედება...

როგორ აიშვირა ცხვირი მათ რო შეხედა... ისინი კი არ ფიქრობენ თუ რა უსიამოვნებას აყენებენ „წმინდა საზოგადოებას“..

— ერასტიას რო საქმე მოუვიდა, კაცო, დღეს... დღეცა ი რეიცის რკინა ხელზე და ორი თითი კიქასავით მიაფშენა...

— აბა, მერე რა მწარეა ის ოხერი დაბეჭილი ხორცი.

— დაბეჭილი კი არა სულ მოტეხილია ორი თითი.

ამგვარ ლაპარაკში არიან ისინი ვართული, დაბლიდან-კი მზიარული ხარხარი და სიმღერა მოისმის.

По улицѣ ходи-ла
Большая кро-ко-ди-ла.
Тра-ла...

მორსმის ქალის ხმა...

— აბა, ჰე ვინ უფრო დიდხანს გადვიხარხარებთ ჰე...

ხა ხა ხა — და ხარხარობენ ზღვის ნაპირზე...

— ეხ, ჩემო ძმაო, ცხოვრება მაგათია... და... ჩაილაპარაკა ერთმა მუშამ ადგა და წასვლა დააპირა, მას სხვებზე აყვენ და ყველანი გავიდნენ...

— შეიძლება დაესხდეთ ამ სკამზე? — შეეკითხება ორი ქალიშვილი...

— დეზრდანიტო...

— მშვენიერი საღამოა დღეს...

— არა უშავს რა...

— რათ სწევთ ამდენს თუთუნს, ჩვენ აქ რამდენიმეჯერ გავიარეთ და თქვენ სულ თუ-უნსა სწევთ, არ გაწყენთ?..

— თამბაქო... ჰმ... თამბაქო წამალია...

მელანქოლიც... მშვენიერი თუთუნია... თქვენ მართლა გგონიათ. რომ თუთუნი მავნებელია?..

— რასაკვირვლია...

— ნიუტონის კანონი თქვენ იცით...

ქალები გაშტერებული მომჩერებიან...
უცბათ წამოხტენ და სიცილით გაექანენ...
წავიდნენ...

— ღურაკ!.. მოისმის მათი ხმა და სი-
ცილი...

— ევე, გაუგებარი ხალხია ეს მოსეირნე
საზოგადოება... აბა რათი ვარ მე „ღურაკი“?

ვკითხე თუ იცოდა ნიუტონის კანონი...
აქ წინეთ რომ ქალმა გააჩრა, იმან იცოდა,
შენიტერესებოდა, ამათაც იცოდენ თუ არა.

წავალ სახლში თუ არა, გაუღებები
ზღვის ნაპირს.

რას დაწყნარებულხარ ჩემო ზღვა, ა?
აახმაურე ერთი შენებურათ ქოჩორა ტალღე-
ბი, გადმოლახე ნაპირები და შესძახე ზევით
მოსეირნე ხალხს, რომ დროა სახლში წასე-
ლსა.

რაო?.. ღმერთმანი არაფერი არ მესმის
ღღეს ამ ზღვის ლაპარაკის... ღუღუნებს ჩუ-
მათ და ვერაფერი ვერ გამიგია...

დავჯდები ისევ ჩემს ოთახში და ვიკით-
ხავ... ალბათ ის ახალგაზდა გიმნაზიელიც
ჩაუჯდება ამაღამ ფიზიკას და სხვის კანონებს
კი არა, საკუთარ კანონებაც გამოიგონებს...

ასეთია ახალგაზდობა... არ გამოიგონებს
ახალ კანონებს, როდესაც ამას თვალ უუქუნა
მოისურვებს? გამოიგონებს, გამოიგონებს...

ჰმ... შეხარება რაღაც სახლში წასვლა...
აბა რა ვქნა... ახლა...

ეხ... მეღაქქილია, მეღანქილია .. ვივ-
ლი ამ ზღვის პირს ისევ, ვივლი, სანამ არ
ღვიღლები

6. მიწისშვილი.

სიზმრის დედოფალს

რისთვის, რისთვის ჩამომშორდი, რად დამტოვე მარტო, ობლად?
მითხარ, ვის ბაღს ჩაუარე განთიადის მახარობლად?

ვერ გავიგე, სულა ჩემო, ოცნება ხარ უხილავი,
თუ სიზმარი, ფრთა ანკარა, სნეულ ფიქრთა დამჩრდილავი.
გახსოვს, მითხარ: როცა მთვარემ გააშუქოს ტყე და ველი,
მაშინ მოდი ბაღის პირად, მოუთმენლად იქ მოველი.
და მეც მოველ, როცა მთვარე, ბროლის მთვარე შუქს აფრქვევდა,
ღვაცქერდი მწვანე ბილიკს და შავ ფიქრებს გარს მახვევდა,
რადგან ნავალს ვერ ვამჩნევდი, კვალი ველარ ღვინახე,
ძირს დავემხე, ავქვეთინდი, დიდხანს, დიდხანს ვივავლახე,
სული ველარ დავიწყნარე, იქვი გულში დამეგადა
და ვფიქრობდი: ნუ თუ მართლა დამეკარგა რაც მეგადა?
დავეჩქარე, მივდიოდი, როს ვხურავდი ბაღის კარებს,
შევსდგე და ვსთქვი: სად წავიდე, ახლო ვილა მიმიკარებს?
აქ დაუცდი ვიდრე დამე თეთრ სამოსელს წამოიხმას,
ის ყოველთვის ვარდებს კოცნის, მუდამ დილით, მუდამ სიხამს.
აღბად მოვ, მაშ რას იზამს, აგერ უცდის ყვავილთ კრება,
და აჩქარდი, სიზმრის ვარდო, შენი ნახვა შენატრება!
მაგრამ არ სჩანს, ღმერთო ჩემო, თეთრი ღამეც იწვის, ქრება
და ცისკარი მთვარის დისკოს მზის ამოსვლას ემუქრება.


განვლო ჟამმა და სინაზით ჩაუარე ყვავილთ წყებას,
არ გახსოვდი შენი მონა, მიმეც მუღმივ დავიწყებას.
მისლიოდი მხიარულად, გვერდს მიგდევდა ის ერთგული,
ვისაც მიეც სიყვარული, მზის სიტყვებით მოქარგული.
ერთხელ, მახსოვს, მეც გიყვარდი, მაფიცებდი უკვდავებას,
და შემოქმედს ლოცვით სთხოვდი, სული სულზე გადაებას
ოცნებობდი მომავალზე, შეჰხაროდი ღამის ლამპარს,
რა ვიცოდი, თუ ის ღხენა გადმომცემდა მე ამ ზღაპარს.

ი. დაროშვილი.



სერგი ნიკოლოზის ძე ვორონოვი

მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი, ზუბალაშვილის სახ. სახლის რუსული წრის რეჟისორი, ამ შემოდგომიდან თბილისში სასცენო სტუდიას აფუძნებს. მეცადინეობა რუსულად და ქართულად.



ჰუზეირ ბეგ ჰაჯიბეგოვი

თათართა დრამატურგი, ავტორი „არშინ მალ ალანი“-სა და სხვ ოპერეტებისა, დაწერილი აქვს ათამდე დრამატულ-მუ-

სიკალური ნაწარმოები, ზოგიერთი მათგანი სხვა ენებზეც გადითარგმნა ქართულად გადითარგმნა, არშინ მალალანი, სთარგმნა ვანო გიგოშვილმა. მისს პიესებს დიდი გასაველი აქვს, ნამეტნავად მდობიო ხალხში. „არშინ მალალანი“- ქართულად თათრულად და სომხურად მრავალჯერ წარმოადგინ. მისი სამუსიკო ნაწარმოებია, ზემოთხსენებულ არშინ მალალანის“ გარდა: „ასლი და ქერამი“, „ლეილა ვა მეჯნენი“, „ოღომასუნ ბუოლსუნ“, „აბასილა ხურშიდ და სხვ.

აი. ახლავი დავინასურდი!!!

ვოდევილი ერთ მოქმედებად.

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი :

სოლომონ მონაძე, უმცროსი მოხელე 35 წ. **ტასიკო**, ამისი ცოლი 23 წ. **მოხელეთა უფროსი**, სამოქ. გენ. ჩინით 50წ. **ალექსანდრე ნაზიძე**, ახალგაზდა მოხდენილი. ემაწვილი, სცხოვრობს თავისუფალ შემოსავალით 28 წ. **მარფუშა**, რუსი დედაკაცი, მზარეული მონაძის **ვასილი**, მარფუშას ნათლიმამა, უსაქმიოდ მოხეტიალე.

სცენა: შუათანა ოთახი, საშუალოდ მოწყობილი. პირდაპირ და მარცხნივ კარები მაჯჯვნივ ფანჯარა; იქვე სამწერლო მაგიდა, თავის მოწყობილობით, მარცხნივ სავარძელი, წინ რგვალი მაგიდა. პირდაპირ რამდენიმე ჩალის სკამი საწერ მაგიდაზე პორთფელი ქაღალდებით. დილაა, ფარდის ახლისას მარცხნივ კარიდან ხმაურობა მოისმის.

ტასიკოს ხმა (გარედან) არ შეიძლება!

სოლომ. ხმა. ტასიკო, გენაცვა! რა არის ღმერთმანი

ტასიკოს ხმა. არ შეიძლება მეთქი! (გამოვარდება დიფის თეთრ კაბატში. უკან მოსდევს სოლომონის სამსახურში წასასვლელად გამზადებული)

სოლომონი და ტასიკო.

სოლომ. რა ცეცხლი ხარ, ტასიკო?

ტას. ბევრს ნუ ლაპარაკობ! წადი თორემ, თუ დაგიგვიანდა, გამოგაპანჩურებენ!

სოლომ. დიახ, დიახ, მე ვერავინ გამოგაპანჩურებს. (უფლაშეპზე ხელს გაისვამს)

ტას, მითომ რატომ? იქნება შენი ბრწყინვალე აპელატებისა შეეშინდეთ? შენისთანა რვა თუმნიანი მოხელის გამოგაპანჩურება არა მგონია ძნელი იყვეს!

სოლომ. კიდევ ვგ არის, რომ პატარა მოხელე ვარ და ჩვენი ახალი უფროსი... გენერალი ძან კარგ თვალზე მიყურებს...

ტას. განა ისეთი რა დიმიხასურე ციფრების წერით?

სოლომ. უკაცრავად ქაღალატონო! კაცს

ოლონდ ენა უვარგოდეს, თორემ საქმეს მაინც და მაინც არც თუ ეგრე უცქერათ. (მიუხადავლება) გუშინ ერთი საქმე შევატყობინე გენერალს და ისე იამა, რომ თავზე ხელი გადამისვა: ყოჩაღ სოლომონ მიხეილიჩო! გესმის? „მიხეილიჩო.“ ჩემზე უფროსებს გვარებით იხსენიებს.. მე-კი (იბუკება)—მიხეილიჩო!

ტას. ისეთი რა საქმე იყო, რომ აგრე გაუბერინხარ?

სოლ. (აღტაცებით) გარდა ამისა.. მითხრა.. ყოველთვის „უღდაკლადოთ“ შემოდი ხოლმეო. მაში შენ თუ ეგრე ყურმასვილად მოიქცევი... მალე დაგაწინაურებ და კარგ ჯაბაგირზე წარგადგენო... (ხელებს იფშენებს, გაიფლის და გამოაფლის) თუ გავაბედვინე და აქაც მოვიპატიყფე, აბა მაშინ გაიჩარხება საქმე..

ტას. (დატანჯვით) იმედი გქონდეს რომ გენერალი აქ გეწვევა.

სოლ. ეგრე გგონია! — ვიღაცა უქიბ რა... ისეთი გრძობით მელაპარაკებოდა.. საქირთა ჩემი ხელქვეითების ოჯახური ცხოვრება გავიციე და უწინ შენთან მოვალო! (დაინჯ შემოფრთხილება დაღება) მაში ვინ იცის იქნებ დღესვე მობრძანდეს!

ტას. რამ გადაგრიია?

სოლ. გადამრია კი არა... რომ იცოდე რა პატივისმცემელია შენისთანა ლამაზი ქალებისა, ჩემო ტაიკო! ერთი სიტყვით, რაც გინდა ს ხოვო თავის დღეში უარს არ გეტყვის. და განა გაუძლებს შენს თვალებს?

ტას. დიახ, დიახ. არა დამიშლია-რა, რო გენერალი პირველად შენ გეწვიოს!

სოლ. აი, აღდგომა და ხვალაო! მე ხომ გეუბნები მხოლოდ ღმერთი არ გაგიწყრეს და იმას ანაც არ დიწყო ტუტუტური ფხუკანობა.

ტას. შენ ნუ გეშინიანი! ეგ მე ვიცი ვ-ს როგორ მვექცევი. ეხლა კი წადი თორემ დაგიგვიანდება.

სოლ. ისე როგორ წავიდე, მაკოცნინე მაინც!

ტას. არც ეგ გინდა, თორემ ნერვები გეშლება და ციფრებს სველარ დასწერ.. ცი-

ფრების მანქანა მოგეშლება და კამბეგები მღვდელელებათ მოგეჩვენება.

სოლ. მართლა, კინალამ დამავიწყდა?!

ტას. რა, ც-ფრები?

სოლ. |წორედ ციფრები. (მივა მაგადასთან, გამოსწევს უჭრას, ამოიდექს ქაღალდებს, აწეობს ზოროფელში)

ტას. აკო გითხარი! შენ გარდა ციფრებისა, სხვა არაფერზე უნდა იფიქრო. მართლა, ყმაწვილო, სადილათ რა მოვამზადებინო?

სოლ. რა ვიცი? მე რა მზარეული ვარ? ეგ შენი საქმეა

ტას. როგორ იუ ჩემი საქმეა! თუ შენა არა ხარ — არც მე ვარ მზარეული

სოლ. აი, ეხლა კი დ იწყო! რაც გინდა მოამზადებინე (იქით) უნდა ვეფერო, თორემ გაფხუკიანდება!

ტას. იქნება დოლო მოგჩხარშო შესქამ?

სოლ. შევექამ!

ტას. თხლე რომ მოგიმზადო?

სოლომ. შევექამ!

ტას. შეინდის შექამანდი რომ მოგიმზადო?

სოლ. შევექამ!

ტას. მახობა?

სოლ. შევექამ!

ტას. (გაჯაფრებოთ) კარგი მაშ ბაყაყებს შეგიწვავ?

სოლ. იმასაც შევექამ! (ტასიკო გატყუებული უეუეებს სოლომონა იტინის) ჰა. ეხლა რაღას იტყვი?

ტას. იმას გეტყვი, ჩემო გმირო, რომ შენ შენი საკუთარი არც გემოვნება გაქვს და არც სხვა რამ... მარტო ციფრები, აი რაზედ ფიქრობ დღე და რამ!

სოლ. ციფრები რომ არ იყვეს, ჩემო შავთვალა ვერც პურს შევექამდით... (სააოს სიწაჯეს) ეხლა-კი წასვლის დროა. მაშ კარგი. დღეს ისე მისტუმრებ, რომ არც კი მაკოცნინე!

ტას. არა გიშავსრა, სამაგიეროთ ციფრებში გაერთობი!

სოლ. ნახვამდის, ჩემო ლამაზო, ჩემო დოვლათო, ჩემო დამაწინაურებელო! (გადის)

ტას. (მარტო) აი, ქმარიც ასეთი უნდა!

მარიგებს უფროსი თუ გვეწვია, კარგათ მოქეცი არ გაუფხუციანდო... შენ თვალებს ვერ გაუძღვებო! ღმერთო ჩემო! რა დღეში ჩავარდი. (გაიფლას) რა უნდა უთხრა ასეთ ქმარს. ჩემი დედამა მარიგებდა: ცოლი ქმრის მოჩილი უნდა იყვეს და ყველაფერში თან აწყვესო... ქმრის ბრძანება ყოველთვის უნდა შესრულოვო. (გაშოიფლას) შეასრულეო დამეც შევასრულებ: ვნახოთ ვინ ამოიკრავს ცხვირში შენ გინდა ჩემი თვალებით დაწინაურდე და არა საკუთარ მეცადინეობით? ვერა, ბატონო სოლომან! ჩემი თვალები მე ბებრუხანა უფროსებისთვის არა მაქვს (გაიფლას) კაკარდოსანი ქმარი! აი ჩემი მშობლების იდეალი სულ ამას ჩამჩიჩინებდნენ; ის კი არ იცოდნენ იმ უბედურებას, რომ ეს კაცუნები თავიანთ ცოლებს თითონვე მიერეკებიან უფსკრულისკენ... ეჭ, კმარა! ჩემი თვალები... დღე მას მოხმარდეს ვისაც ფუყვარვარ და ვინც მიყვარს... ეხლა კი მართლა და შეინდის შენქამადი მოუმზადო ჩემ ვაჟბატონ...ს თუ მართლა ეწვია თავის უფროსი... გულის ჩიკოკლოზინავებენ... (უძსის) მარფუშა, მარფუშა! (შემოდის მარფუშა, მკვანება აწეული ჭუჭყიანი წინსაფარი, თუბა აწეული, ცოტათი ნახვამია სცდადობს ან შეამჩნიონ, ენას მკვანავე აწმეტუნებს)



ტასიკო და მარფუშა.

მარფ. რას მიბრძანებ ქალბატონო.

ტას. ბაზარში იყავი?

მარფ. არა გნლებივართ... გუშინდელი ხორცი დარჩა ორ გირვანქამდე, ვამბობდი (თან ცოტა ენა ებმის) იმით იოლას წავალთ მეთქი

ტას. (აშტერდება) მეტიც არ უნდა. შენ აინც წადი ბაზარში... გამხმარი შეინდი იყიდე და შეინდის შექამადი გააკეთე

მარფ. (გაკვირვებულად) მე მაგნაირი საქმელი ჯერ არსად გამიკეთებია, არც ჩვენში ვაკეთებთ.

ტას. შენ თუ არ გაგიკეთებია, მე ვასწავლი.

მარფ. ბატონი ბრძანდებით! (წასვლას ზიკებს, ცოტა წაბარბაცდება)

ტას. (უფურებს) ეგ რა დაგმართვია? კიდევ გადაჭკარი? მერე ესე აღრიანათ!

მარფ. რათა სკოდავთ ქალბატონო! ერთი წვეთიც არ ვადამიკრავს.

ტას. როგორ არ ვადაგიკრავს, რომ ფეხებზე ძლივსა დგებარ?

მარფ. ღმერთს გეფიცებით ქალბატონო! (წინ უნდა წავიდეს ცოტას წაბარბაცებს)

ტას. ტყვილად რათ ფიცულობ ღმერთს, გერ კინადამ წაიქეცი. რასაქიროა. ბატონი მოვა თუ არა, მაშინვე ვეტყვი, და გითხოვოს მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან (უნდა გაბრუნდეს, მარფუშა მივარდება შესდე ბში ჩაუვარდება)

მარფ. შენი ქირიმე ქალბატონო, ბატონს ნუაფერს ეტყვი. ფეცავ წმიდა ნიკოლოზს და ბატონსან სიტყვას გაძღვეთ, რომ დილაობით აღარ გადავკრავ!.

ტას. (სიცილით) ადექ კარგი! (აყენებს) არა, ასე ხელათ სად გამოითრობი ხოლმე შე საძაველო!

მარ. (ცრემლები ერვას წინ სსფარითქიწმენდს) ეჭ, ქალბატონო. ჯავრისაგან, დარდისაგან... შევეჩვიე, და ვეღარ ვითმენ... ჯერ ისევ ვიწევი; რომ ჩემი ნათლიმამა თავს წამომადგა. კისერი მოსტყდეს იმას. (იქით) ქალბატონმა რომ იცოდეს, რა ვასია სამზარეულოში მყავს დამალული ჰოდა თან ბატონა ბოთლით არაყი მოიტანა... ჩემო ნათლიდღ... დღეს რაღაც დარდიანათ ვარ, წუხელის ცუდი სიზმარი ვნახეო და მოდი თითო კიქით გადავკრათ, მერმე თუ გინდ, ეშმაკებსაც წაუღიათ ჩემი სულიო! მეც უარი ვეღარ უთხარი, შით, უმეტეს, რომ მეც პირნერწყვი მომივიდა!...

ტას. (გაჭავრებით) ვინ ნათლიმამა?.. შენ ხომ არ გამოგეღვევა ნათლიმამები?!

მარ. ჩვენი გუბერნიიდან გახლავთ ქალბატონო. ჩვენ და იმით სოფელშიუა ბევრი იყოსასი ასორმოცდა ათი ვერსი... მეტი არ იქნება... სქეცა მაქვს შენთანო აკი მოგახსენებ ჯერ ისევ ლოგინში ვიწევი, რომ მოვიდა...

ტას. ძალიან მახლობელია შენმა მზემამი ვიცი რა ნათლიმამაც იქნება... კიდევ იმითმ აგწეწია ეგ თმები.

მარ. (ისწორებს თმებს) ცუდი არა იფი-

ქროთ რა ქალბატონო! ეს ისე ცოტა წავი
ბლლამუნეთ...

ტას. (შეტყუებით) ერთი სიტყვიო, გიმეო-
რებ, მარფუშა, თუ კიდევ დამთვრალხარ...

ან კიდევ გიბლლამუნია ვისთანმე მაშინვე ვე-
ტყვი ბატონს და დავათხოვნიებ შენს თავს...

მარფ. მაპატიეთ ქალბატონო! ამას იქით
ალარავისთან ვიბლლამუნებ და არც დილაო-
ბით გადავკრავ იმ წყეულ არაყს.

ტას. აბა გასწიდა რაც გითხარი იყიდე...
მეც მალე გამოვალ და გიჩვენებ როგორ უნდა
მოხარშოთ. (შედის საწოლ ოთახში, მარფუშა
წაფა, მივა კარებთან, ისევ ბრუნდება)

მარფ. (მარტო) ეგ არის! ნულარ დაღეგო?
ნურც ვისთანმე იბლლამუნებო .. თითქოს მეც
აღამიანი არა ვარ... თითონ ხომ ყველაფერს
სჩადიან... ეს არაფერი... ნურას უკაცრავად,

ქალბატონო, თუ ვიზლლამუნებ და გადავკრავ
კიდევ... შენ გინდა ჩემი ვასია არ დადიო-
დეს... ვერ მოგართვი... მეგზოვეს ჩაის გრო-
შას გაუჩენ და ღამღამ მივიღებ, თუ გინდა რომ
დილაობით არ იაროს! ჰხედავ ამ გაწყებულ
კუნტრუშას: ნურც ნურავის აქ მიიღებ, ნურც
სადმე წახვალო? განა მეკი ხე ვარ? აღამიანი
არა ვარ სისხლი არა მაქვს?.. თითონ კარგად
გეკურკურება იმ გაწყებულ საშურკას! ვინი ცის
ებლაც ოთახში ჰყვანდეს... ჰაი, თუ მოგასწა-
რით ბლლამუნზე... მაშინ ესე დაგიქერ ხე-
ლში... მე როგორც ვატყობ ის საშურკა
უფრო უყვარს, ვიდრე ქმარი... არა ამას იქით
უნდა უთვილთვალო და როგორმე დავიქირო,
(მიდის საწოლ ოთახთან, იჭვრიტება, უცებ თავი
წასდღევს, წინ ეჯახება კარებს, კარი გაიღება და
თითონ წაიქცევა გამაჩნდება ტასიკო სხვა კაბით)

ა. ბაქრაძე

(დასასრული იქნება)

ლეკსი ჰალმონტისა

(თავისუფალი თარგმანი)

ნუ მიღვიძებ წარსულ გრძნობას, გულს მიწუხებს მოგონება
შუა ღამე სიამეს მგერის—ჰას ვაკუთენე სულის გზნება;
დღის სინათლეს გავექეცი, დღის სინათლე მეზიზღება.

ქაბუკობის ნეტარება მეც ვიგემე, მეც კი მწამდა,
მაგრამ ახლა დავივიწყე, როდის ან და ვ-ნ მიყვარდა?
ვის ვაკუთენე სულის ლტოლვა, ან ტრფობით ვინ გამომზარდა?

არ ვიცი, თუ რი'თვის, რისთვის აღარა სძგერს გული მკერდი!..
ამას კი ვგრძნობ, ქაბუკობა მალე გაჰქრა, მეც დაგებრდი,..
აღარ ძალმიძს ისე ღზენა, როგორც წინად გრძნობით ვმღერდი...

... სწვიმს უწყალოდ, და ქარიც კი ეხეთქება ჩემსა სარკმელს,
ტუჩზე ღიმილს აღარა მგერის, ყოველივე გრძნობს განსაცდელს.
ბაგე ჩემი მღუმარეა და გულში ჰკლავს სიტყვას სათქმელს.

ოჰ!.. რაღად ხარ ისევ ჩემთან განდენილო მეგობარო?!
ხელს რად მიქნევ, თან რად მიწვევ, შე აჩრდლის შესადარო.
—იქნებ გინდა, ჩემი გრძნობა რომ ისევ შენ ჩავაბარო?!—

ღრო წასული ეგ აღერსი აღარ მომწონს, აღარ მიდა;
საფლავთ შორის ცხოვრება მსურს, სინათლეზედ ყოფნა მწყინდა;
დე დამეზოის გრძნობის კარი... ჰა... კვნესაც კი (ად აფრინდა,
ვერრას ვხედავ. . ამ ჯურღმულში მხედველობა მსურაფად ჰქრება.
მაჯის ცემაც შემწყვეტია, ნაზი ღაწვიც ნელ ნელ სქკნება...
მაგრამ მიინც აქ ჩირჩენის, ნუ მალვიძებ. . მეძინება...

მის ხერხეულიძე

ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩემი სული ეტრატია, სად ჰხატია საქართველო;
გული ტრფობის ვენახია მის საყვარელ შვილთ სართველო.

ცხოვრება და სიყვარული აქ მარხია საიდუმლო...
ვმღერი მისთვის... მე არ ძალ-მიძს—შეყვარებულს,—
რომ ვიდუმლო.

აქ სარკეა! სად სჩანს მთენი: საზღაპრო და სამშობლო,
საუნჯე და ნეტარება!—ქართველთაა ეს სამშობლო.

ობობა ბუდე! სიცოცხლისა ტურფა მხარე, მშვენიერი,
სადაც მარად—გლოვის დროსაც—ისმის „მრავალუმიერი“

ჩემ შვენებას, სათაყვანოს, სამლოცველოს თუ ვინმე
ჰმტროს,—
ოღონდაც მას ნურას ავნებს, უწინარეს მე გამგმიროს!...

ს. ერთაწმინდელი

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

ბათომის ოლქი, სადაც სცხოვრობენ ჩვენი თანამოძმე ქართველი მუსულმანები, ახლათ შემოერთებული იყო რუსეთთან, და ქართველ მუსულმანთა საპატიო პირები დაესწრენ ბათომის საქრისტიანო ტაძარში წირვას, რომელიც უგზავლდებოდა იქმნა სლავიანურ ენაზე: ქართველ მუსულმანებს არ ექაშნიკათ ეს გარემოება და სამართლიანად საყვედურით შენიშნეს ქართველ ქრისტიანებს:

— ქართველ მუსულმანებს გვიჩივით, რომ ძველი ქრისტიანული სჯული დავკარგეთ.. მაგრამ სჯული თქვენ დაგიკრგავთ და არა ჩვენ. ჩვენ მტკიცედ ვართ იმ სჯულზე, რომელიც გვაქვს. სჯული თქვენ დაგიკრგავთ, რომ ქართული წირვა-ლოცვა მოგისპიათ და რუსულისთვის ყური შეგიჩვევიათ. სადაა ქართული ლოცვა? სადაა ქართული გალობა?! ჩვენ შევინახეთ ჩვენი ენა, ჩვენი ტანთსაცმელი, ჩვენი ადათი...

ამ ამბავს გდმოგვცემს გიორგი წერეთელი, დიხ სანდო მწერალი. მართლაც, ეს რა ღვთის წყრომაა,—რომ ბათომი ქართვე-

ლი მღვდელმთავრების ხელში იყო და არის ქართულად ღვთისმსახურება კი ვერ ხერხდება ამ ქალაქში. მცხოვრებთა და ხმოსანთა უმეტესობა ქართველებია, და 20 წლის წინ დაწყებული ქართული ტაძარი კი ვერ დაუმთავრებიათ დადი სირცხვილია ეს აქაურ ქართველ ბისათვის, რომელთ შორის მდიდრებიც მოიბოვებოან!!

განსვენებულ გრ. ვოლსკის მეცადინეობით ქალაქმა დაუთმო ქართულ ეკლესიას საუცხოვო ადგილი ქალაქის შუაგულში დაწყეს ტაძრს შენება, აიყვანეს კედლები სახურავამდის... და წერტილი დაუსვეს. შენება შეაჩერეს... და გამოიციქირება ობლად ქართული ნახევრად დაუმთავრებელი ტაძარი... ეს გარემოება მოწმოს-ჩვენს უბედურებას, ჩვენს გადაგვარების გზაზე დადგომას.

ქართველ ქრისტიანებს ქართული საყდარი არ აქვთ ბათომში... ისინი ვერ ისმენენ წირვა-ლოცვას ქართულ ენაზე... რა გასაკვირალია, რომ ჩვენმა თანამოძმე ქართველ მუსულმანებმა სამართლიანად გვიკიჟინონ ჩვენ მიერ სჯულის დაკარგვა და გულ-გრძობა სარწმუნოებისადმი. ცნობილმა ხოშტარიაშვიტყესასი თუმანი შესწირა ბათომის ქართულ ტაძრის დასამთავრებლად... ეგებ ახლა გვშველოს რამე!

შენი ჩაქუჩი

ხელოვნების მოკლე ისტორია

იხ. „თ. და ც.“ № 31

ურიასტანი.

თვით სირიაში ფანიკიელებს ბაძავდნენ. მათი მეზობლები — ებრაელები — ესთეტიურ გრძობათ არ ეძლეოდნენ. ეგვიპტესა და ასურეთთან დამოკიდებულებამ ებრ ელებში ხელოვნების სიყვარული კი არ გამოიწვია, არამედ დააფრთხო და შიში მოჰგვარა მოსეს კანონი დიდის სიცხადით უარყოფდა ცხოველ არსებათა გამოხატვას. მართალია იელოვამ უბრძინა, რომ აღთქმის კიდობანზე ორი ოქროს ქერუბიმი მოეთავსებინათ და ეს ქერუბი მებიც ასირიულ ძეგლებზე გამოსახულ ფრთოსან ცხოველთაგან იყო გადმოღებული, მაგრამ თვით ეს გამონაკლიც განამტკიცებდა წესს და პალესტინის ებრაელებიც შეურყეველად იცავდნენ მას. მათი ქანდაკება მეტად ღარიბულ ჩუქურთმით უნდა დაკმაყოფილებულიყო და ხუროთმოძღვრებაში ხომ არავითარი თავისთავადობა არ გამოიჩინეს. როდესაც ქრისტეს შობამდე მეთერთმეტე საუკუნეში სოლომონ ბრძენმა მოისურვა იეღოვასათვის დიდებული ტაძარი აეგო, ტიროსის მეფეს ხირაჲს მომართა. ფინიკიელებმა გამოუზღავენეს მხატვრები, მუშები, მასალა. ეს ტაძარი, რომელიც ბევრგზის იყო დანგრეული და კვლავ აღდგენილი, ქრისტეს შობიდან პირველ საუკუნეში, იერუსალიმის დაპყრობის დროს საბოლოოთ დაანგრია ტიტუსმა. მაინცა და მაინც დაბადების აღწერილობით და დარჩენილ მიწაში გაყვანილ მღაღარებით შეძლება გამოირკვეული იქნეს სიგრძე ტაძრისა და მისი აგებულება. ხოლო რაც შეეხება ებრაელთა მეფეების სასაფლაოს, რომელიც როლსიმ აღმოჩინა, ეგ სასაფლოები უნდა ეკუთვნოდნენ უფრო მახლობელ ეპოქას.

სპარსეთი.

დნარჩენ მიმბაძველ ქალხთა შორის აღსანიშნავნი არიან ტიგროსისა და ეფრატის აღმოსავლეთით მცხოვრებელნი, არიელ მოდგმისა — მიდიელები და სპარსები. თავდაპირვლად ისინი ნინეილებს ჰყავდათ დაპყრობილნი, მაგრამ შემდეგში გადაიდგეს მანობის უღელი, პირველ ხანად მიდიელებს ჰქონდათ უპირატესობა და შემდეგ კი ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში სპარსელებმა მოიცვეს ძლია, დაიპყრეს წინა აზია. ეგვიპტე და დაემუქრნენ თვით სპარსეთსაც. უცხოური გავლენა ამჩნევია პლოტარ — რუდის ველზე კიროსის და მის მემკვიდრეთა მიერ აგებულ (VI საუკ. ქ. შ. — მდე) ძეგლებს: ზოგნი ლიკიის შენობათ გვაგონებენ და ზოგნიც ბერძნულსა უმთავრესი მათგანი კამბიზის და მადანის სასაფლაოა, კიროსის დედამამისა და თვით კიროსის სასახლე. შემდეგ საუკუნეში სატახტო ქალაქად პერსეპოლისი შეიქმნა და სტილიც შეიცვალა სპარსელებმა ეგვიპტე დაიპყრეს და ეგვიპტური ხუროთმოძღვრება გადაიოღეს, თანამცს შეუერთეს მცირე აზიის სტილი და განსაკუთრებით იონიის ბერძნებისა. პერსეპოლისის სასახლეში ჩვენ ვხვდებით კარების ეგვიპტურ და გვირგვინებს და აგრეთვე სვეტების ეგვიპტურ ჩუქურთმას, მხოლოდ იმ შემდროს ამავ სვეტების ნაკვეთიერება ბერძნულ-იონიურია. ეს უცხოური გავლენა ეთხვევა ადგილობრივს, მაგალითად აგურის ხმარებაში განსაკუთრებით გუმბათის გამოყენებაში. სპარსული ქანდაკება ხშირად ასურულს გვაგონებს, მაგრამ წერილმანთა ნაკვეთიერება (მოდელირობა) არც ისე გავიადებულია. დარიუსის სასაღის ხელოვნურად აღდგენილ მოსიერთა ფრიზები (ლუვრისა მუზეუმშია) გვიმტკიცებს, რომ სპარსელებმაც ასურელებსავით მინაქრიან აგურების ხმარება იცოდნენ მოზაიკის (სოფროს ჟენქის) გამოსაყვანად. შემდეგში, ქრისტიანულ ეპოქის პირველ საუკუნეებში სპარსეთმა თავის დამოუკიდებლობა და სიძლიერე სასანიდთა მეთაურობით აღადგინა (III საუკ. ქრ. შ. დან). დიარბექირის და კტეზიფონის ნანგრევები სასანიდთა ხელოვნებას გვიჩვენებს. აქ ნახეს გუმბათი, კოტა წამწვეტილი და ნაღის მსგავსი თალი, რომელიც შემდეგ მეზობელ ქვეყნებშიც იხმარებოდა. თუკა ამ ეპოქის ხელოვნება უძველესად ადგილობრივია, *) მაინც ბერძნულ რომაული გავლენა ატყვია. ეს შერგვა სტილისა, უცხოურის და ადგილობრივის.

უფრო ემჩნევა დარჩენილ აუარებელ ქანდაკებათ, სკამებზე გამოკვეთილთ, რომელნიც გამოახვენ მეფეთა დიდებულ ღვაწლთ, მათს მბრძოლასა და ნადირობას.

გუგაშვილი

(დასასრული პირველი თავისა)

* ვინ იცის შეიძლება ეს „უძველესი, ადგილობრივი ხელოვნების“ ნაშთი, რომელიც იპოვეს მცირე აზიაში, ეკუთვნოდეს იმ ხალხს, რომელთაც ხეტებსა და ნაირებს უწოდებდნენ და რომელთაც ჩვენი ისტორია ქართველთ წინაპრებათ, მონათესავე ხალხად სთვლის. ამ ხელოვნებამ იქონია გავლენა აღმოსავლეთის ხელოვნებაზე და შემდეგში აღმოსავლეთმა ჩვენსავე. ე. ი. ჩვენივე ჩვენ დაგვიბრუნდა. მაგ წამწვეტილი გუმბათი და ნალის მსგავსი თალი შემდეგში ჩვენშიაც ძალიან გაზიარებული იყო, აგრევე სოფიო კენჭი და მინაქრიანი აგურებიც, მაგრამ ყოველივე ამის განმარტება ჯერ კიდევ მომავალ პირუთუნულ გველევართ საქმეა.

შ. დ.



დ. ხაშური. საშურის ქართ. დრამატურემ, თავის საზაფხულო ბაღში გამართა ფრად შინაარსიანი სადამო-სეირნობით. ამ სადამოსავლის საგანგებოდ მოწვეული იყო მსახიობი ი. ხარდადიშვილი, რომელმაც დივერტისმენტში მიიღო მონაწილეობა და თავისის მოხდენილის ლექსებისა და სცენების ხელფონურად წაკითხვით — საზოგადოება ატყვებდაში მოიყვანა. წარმოადგინეს 1 მოქ. კომედია „მოკლადნელი შემოსხვევა“. ეს კომედია იმდენად სუსტია, იმდენად უშინაარსო, რომ თავთ დახელოვნებულ მსახიობებსაც-კი გაუჭირდებოდათ მისი სცენაზე განსახიერება. მაგრამ, ამის და მიუხედავად საშურის ნიჭიერმა სცენის მოყვარებებმა შესძლეს ზიკის რიგინად დადგმა და ასე თუ ისე — მიუხედავად თითქმის არც კი შეამჩნევიან ზიკის უშინაარსობა. დივერტისმენტში მონაწილეობდნენ ქ. ქ. თ. აფხაზიშვილისა და ქეთო კალაძე; ბ. ი. ხარდადიშვილი, ალ. კარძია და გუგაშვილი; დასასრულ გამართა ტეკეა ვერობიულ და

ასიურთ. ბაღში მოწყობილი იყო „ნიკოსკეპია“. უკრავდა ადგილობრივი მუშუბის მუსიკა. საერთო შემოსავალი უდრიდა 500 მანეთს.

ნიკო გურული

დ. ხონში სუთშაბათს მარამობისთვის 11 ბ. ნემოს საბუნებისად წარმოადგინეს ვაღს. შალიკაშვილის ზიკის „გაცობრობის კეთილი მეფეული“ და ერთი მოქ. აქ. ტვარდის „მითიკა“-დან.

აქაურ გულტურულ საქმიანობის წინაშე, ბ. ნემოს თვალსაჩინო ამაგი მიუძღვის: უაქელთვის მზად იყო დახმარებოდა საზოგადოებას უსასიოდლო წარმოდგენის გამართვით. ეს ამაგი ხონის საზოგადოებამ დაუფასა და, თუ შესედელოა ამა არ მივიღებთ იმ ზოგიერთ მიუიარაღ ინტელიგენტებს, რომლებიც, რეგარდ სხვა დრამს, დღესაც კლუბში ერთობოდნენ ბაქარას თამაშში. ხალხი ბლამათ დაესწრო.

ზიკის შინაარსიანია. ავტორს ზედ მიწვევით დასატული უნეს „უსაქმობა საქმიანობის“ გამომსატველი ტიპები, რომლებიც საფსებით განსწორდიქეს თავანთი მოხდენილის შესრულებით ბ. მ. ნემომ (ანდუყავარი) და ალ. უაღბეგაშვილმა (სიკო დარდუბადაძე). საზოგადოდ ზიკამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასატოვა, რაც მიჩვენება დანახენ მოთამაშეთა დირსეულ თამაშს, რომ ბოლოს „მითიკას“ თამაშით მიწასთან ა გაესწორებინათ ყველაფერი რასაკვირველია არ ყველა მოთამაშე იტყვის სიმება, რეგარდ მაგ. ალ. უაღბეგაშვილი და ბ. ნემომ, რომლებიც ძლიერ მოხდენილად ასრულებდნენ ნაქირ რეალებს, ანამედ გვუღლისხსიმობ ბ. ს. მ. ძეს, რომლის რეალის სრულ უცოდინარობას რომ თავი დავანებოთ და ვაზატოთ სუფლიორთან ბასის გამართვას, განუწვევტილსინცილს და მომდერლების გამანდრობას და სკლის ქნევას „გახერდითა რაიწვეთა ძახილს მანინ ვერ ავატივებს საზოგადოება მართალია, უაფთილა შემთავეები რაოდენიმე წლების წინად ამგვარი სურათისა, მაგრამ იმ დრამს არც თვითონ „მოთამაშეს“ და არც უმრავლესობას საზოგადოებასს მიიფე წარმოდგენას და გამიჩენება არ ქონდათ თეატრზე და დღეს კი, იმ საზოგადოების წინაშე, რომელითაც მუდამ საფსკის თეატრის დარბაზი და სუფაერი საკვებს სცენიდან გამოკლდის, სრულიად არ უნდა ქონდეს ადგილი ამგვარ კლოუნების გამოსტუნებას, რაც გამგებობას მე მგონია წინ და წინ უნდა გათავაღისწინებული. დასასრულ არშემიძლიან რამოდენიმედ იმაზე არ უსაუვედურო რომლებიც წესიერებას ხშირად არდევვენ სფისის ადგილის დაჭერთ.

ონუფრი

წვრილი აგებები

◆ **ნიღალში** მარიამობისთვის 14 სცენის მოყვარულთა წარმ. გვარაძის მონაწილეობით და რეჟისორობით ახალ კლუბის დარბაზში წარმოადგინა ა, ცაგარელის მ მოქ, კომ. „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ . პიესამ კარგად ჩაიარა. აღსანიშნავია ს. შავლიაშვილის თამაში (გიყუა) კარგები იყვნენ: ს. გომელაური, მ. ტყეაძისა. ა. მოსულიშვილისა, ვ. რუხაძე, ხელაშვილი, ხატის-კაცი, კ. ძიძაძე. ბ-ნი გვარაძე ამ დამეს მოისუსტებდა, თუმცა ეს როლი (ავეტიქა) ბევრჯერ უნაკლებოდაც ჩაუტარებია. საზოგადოება ბლომად დაესწრო და ფრად ნასიამოვნები დაიშალა ღამის 2 საათზე.

6 მარიამობისთვის ახალ კლუბის დარბაზში გაიმართა ნ. გვარაძის ბენეფისი. წარმოდგენილი იყო „ღღენი ჩვენი ცხ-ვრებისა“. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

◆ **„ღალბატი“-ს** ახალი გეგმით დადგმა განუზრახავს ბ-ნ ალ. ახმეტელს. შესაფერ დეკორაციების ესკიზები უკვე იხატება. ალ. ახმეტელის აზრით ის გეგმა, რომელნიც სდგავენ „ღალატს“, სრულიად არ შეეფერება ამ პიესას. ეგება მისი ბევრს ახალსა და საგულისხმოს გვირდება.

◆ **მწერალი ღავ. ნახუჩიშვილი** მძიმედ დაავადებულია.

◆ **მ. ზღალოშიჩი** განკურნების გზაზეა მისი ავადმყოფობის შესახებ „ჩვე მგობრის“ რედაქციას მრავალი წერილი მიზღის.

◆ **ს. საბარაჯოში** კვირას 28/VIII შ. საჯაროვის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება „ახლანდელი სიყვარული“ და „მე მოვკვდი“, იქვე მეორეს დღეს— სურამის ციხე“.

მ. ს. დემეტრაძემ ბაღდადის სამკითხველოს თავისი ხარჯით გაუწერა „თეატრი და ცხოვრება“.

ქურნალის სასარგებლოდ

შემოწირულობა *)

ქ ლბატონო რედაქტორო! დიდათ სასიამოვნოთ დამირჩა თქვენს პატივცემულ ქურნალში მოთავსებული ქურნალის ფონდისთვის შეწირულების გაცემა ერთგულ სამშობლოს შეიღების გინაო, რომელთაც მე დიდათ თანაუგრძობ მათ გულ-კეთილობას და მოგართმევთ ჩემს წვლილსა სამს მან. ფონდის მოსამატებლად იმედია ღვთითა ბევრი სხვებით გამოჩნდება თბილის გულით შეწირველი ქართველებში პატივისცემითა.

ქალ. პერმი **ვასო აბდლაძე**

*) წერილი უცვლელად იბეჭდება. რედ.

სასკენო სტუდია ს. ნ. ვორონოვის ხელმძღვანელობით

მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე, 1, დიქცია და დეკლამაცია; 2, ჰლასტიკა და გიმნასტიკა; 3, თეატრის ისტორია, 4 ესთეტიკა; 5, პრაქტიკული მეცადინეობა სცენაზე.

ცობათა შეტყობა შიძლება ოთხშაბათობით და კვირობით საღ. 6—7 ს. კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელ. 8—43.

дoзвoлeнo Boeннoй Цeнзypн სტამბა „სორაპანი“

ახალ კლუბში 1 კვირის პროგნოზი

ორშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი — სიმფონიური კონც.

ოთხშაბ. ვ. სარაჯ შვილის გამოსავლავარი ბე.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას); საზნადარი

პარაბ. — სინემატოგრაფი; მუსიკა.

შაბ. — სიმფონიური კონ.

კვირა — საბავშო საღამო, მუს.სინემატ.

და: აწმისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ..

წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა სუბსკვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ. სამშაბათს და შაბათს იხდინა: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1-05 კ.

სარგისის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 28 — აგვ — 4 ენკ.

კვირა —

ორშაბათი —

სამშაბათი — უკანასკნელი კონცერტივანო სარაჯიშვილისა საზნადარი.

ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა; ბალში სამხედრო — მუსიკა

ხუთშაბათი — თათრული ოპერეტა „ალმასუნ შუ ოლსუნა“

პარასკევი — კონცერტი ლილინა შარაბიძის და სხ. მონაწილეობით.

შაბათი — კაბარე,

კვირა — კონცერტი გამოჩენილ გარმონისტის ბახოსი.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა



რედაქტორ-გამომცემი ანნა იმედაშვილისა